უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 52

2018წ. "20" 08

ქ.თბილისი

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს (ს/კ: 211359448) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3 200-ით.
2. შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №09 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.

ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	02 ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№333, 25/11/2011
2	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	02 ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120	აკრედიტებული	№255, 26/07/2012
3	ბიზნესის ადმინისტრირება ოპერაციების მენეჯმენტში	ქართული	020333 ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ოპერაციების მენეჯმენტში	120	აკრედიტებული	№20, 03/02/2015
4	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	0705 საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№263, 11/11/2011
5	სამართალი	ქართული	06 სამართლის ბაკალავრი	251	აკრედიტებული	№265, 11/11/2011
6	ბიზნესის სამართალი	ქართული	0603 ბიზნესის სამართლის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№16, 03/02/2015
7	კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა	ქართული	0401 ბაკალავრი კოპიუტინგში; 0501 ბაკალავრი მათემატიკაში	240	აკრედიტებული	№334, 25/11/2011
8	ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია	ქართული	04 ინჟინერიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№171, 19/11/2013
9	ფიზიკა	ქართული	0502 მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში	240	აკრედიტებული	№335, 25/11/2011
10	მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები	ქართული	07 სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№264, 11/11/2011
11	სოციალური მეცნიერებები	ქართული	07 სოციალური მეცნიერებების მაგისტრი	120	აკრედიტებული	№19, 03/02/2015
12	ხელოვნება და დიზაინი	ქართული	08 ხელოვნების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№169, 19/11/2013
13	არქიტექტურა	ქართული	1101 არქიტექტურის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№1, 10/01/2018
14	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები	ქართული	07 სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი; 10 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი	180	აკრედიტებული	№62, 02/05/2013
15	ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა	ქართული	0502 ფიზიკის მაგისტრი; 0504 ბიოლოგიის მაგისტრი; 0503 ქიმიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№17, 03/02/2015

	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში					
16	ერთობლივი სადოქტორო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში	ქართული	0502 ფიზიკის დოქტორი; 0504 ბიოლოგიის დოქტორი; 0503 ქიმიის დოქტორი	180	აკრედიტებული	№18, 03/02/2015